ბატონი თამაზ მარსაგიშვილი 140-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 7 პატენტის (მათ შორის, ერთი აშშ-ს) ავტორია. არის მთელი რიგი პროფესიული და სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი:

- ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტი, წევრი (1998-)
- ამერიკული ქიმიური საზოგადოება (ACS), წევრი (2006-)
- ევროსაიენსი (Euroscience) , წევრი (1998-)
- საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრი (კემბრიჯი), წევრი (2000-)
- შავი ზღვის ქვეყნების წყლის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორთა საბჭო, წევრი (2001-)

არის აკადემიკოს პ. მელიქიშვილის სახელობის (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია) პრემიის ლაურეატი.

რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტრო-ქიმიის ინსტიტუტის რ. დოღონაძის სახელობის თეორიული კვლევათა ლაბორატორიის გამგე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე (2013 -)

მისი ინიციატივით დაფუძნდა სასწავლო-კვლევითი სამეცნიერო ცენტრი (TRSC), რომელიც საქართველოს მასშტაბით კოორდინააციას უწევს კვლევითი ინსტიტუტებში არსებული სამეცნიერო ტექნიკისა თუ აღჭურვილობის გამოყენებას და ამით ხელს უწყობს უნივერსიტეტების მიერ სადოქტორო პროგრამების კვალიფიციურ დონეზე განხორციელებას. დღესდღეობით ცენტრის მიერ 80-ზე მეტი კვლევითი ინსტრუმენტია მობილიზებული ქიმია-ბიოლოგიის, ფიზიკა-მათემატიკის, ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიმართულებით რეალური გათვლებისა და გაზომვებისთვის; ეფექტური მართვის სისტემების მიმართულებით კი უკვე მიღწეულია შედეგები მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით მართვის თეორიაში შესრულებულ დისერტაციებში. დაწყებულია ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვის პროცესი ელექტროქიმიის ინსტიტუტში შემუშავებული ოზონატორის მაგალითზე. ექსპერიმენტული კვლევების, კვლევთი ტექნიკის დაუფლებისა და გაზომვების წარმოების ინტერესმა საკმაოდ მოთხოვნადი გახადა ცენტრის მიერ განხორციელებულ პროგრამაში დოქტორანტთა მონაწილეობა. ერთი წლის განმავლობაში მათი რიცხვი 60-მდე გაიზარდა, რომელთაც წარმატებით გაიარეს საერთაშორისო თემატური სემინარები, კონკურსები, კონფერენციები.